585
1982

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 10

1982

# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს
# უწყებანი

№ 10 (464) ოქტომბერი 1982 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

318. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

319. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და შრომა-გასწორების კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

320. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 116-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ.

### განყოფილება მეორე

321. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ.

322. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

323. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აბაშის რაიონული გაზეთის „განახლებული აბაშის" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

324. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ო. ნ. აბუთიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

325. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. პაიჭაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

326. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. ბ. ჯინჯოლიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

327. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ი. ქოჩიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

328. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მ. გორკის სახელობის საბავშვო და საყმაწვილო ფილმების ცენტრალური სტუდიის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

329. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. კ. კაჭკაჭიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

330. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. მ. ჯაფარლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

331. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

332. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. გ. არჩვაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

333. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ზ. ვ. კვერენჩხილაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

334. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. კ. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

335. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ლ. მირცხულავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

336. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ო. დ. ქინქლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

337. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ო. პ. ორანსკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

338. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. გ. ყვანიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.
საინფორმაციო ცნობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17.293

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 318 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია 1982 წლის 26 ნოემბერს ქალაქ თბილისში.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1982 წლის 25 ოქტომბერი.

### დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 319 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და შრომა-გასწორების კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„სსრ კავშირის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 15 ოქტომბრის ბრძანებულების შესაბამისად დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოამზადოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად წარმოადგინოს ბრძანებულებების პროექტები საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და შრომა-გასწორების კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1982 წლის 28 ოქტომბერი.

კ. მარქსის სახ. ს. ს. სსრ
სახელმწიფო რესპუბლ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 320 საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 116-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ

„ტერიტორიულად სხვა ადგილას სამუშაოდ წასვლის დროს გარანტიებისა და კომპენსაციების საკითხებზე სსრ კავშირის ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის შეცვლისა და ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 23 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 116-ე მუხლში შემდეგი ცვლილებები:

მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუშაკებს სხვა სამუშაოზე გადაყვანისას, რაც დაკავშირებულია ტერიტორიულად სხვა ადგილას წასვლასთან, აუნაზღაურდებათ: თავისი და ოჯახის წევრების მგზავრობის ღირებულება (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადმინისტრაცია გამოუყოფს სათანადო მიმოსვლის საშუალებას); ქონების გადაზიდვის ხარჯები; სადღეღამისო ხარჯები გზაში ყოფნის ყოველი დღისათვის; მიეცემათ ერთდროული დახმარება მათ და მათი ოჯახის თითოეულ წევრს, რომელიც მათთან ერთად გადადის; ხელფასი სამგზავროდ მომზადებისა და ახალ საცხოვრებელ ადგილზე მოწყობის დღეებისათვის, მაგრამ არა უმეტეს ექვსი დღისა, აგრეთვე გზაში ყოფნის დროისათვის.

მუშაკებს, რომლებიც ტერიტორიულად სხვა ადგილას სამუშაოზე მიღებასთან (წინასწარი შეთანხმებით) დაკავშირებით მიემგზავრებიან აუნაზღაურდებათ და ეძლევათ ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული კომპენსაციები და გარანტიები. ამ მუშაკებს ერთდროული დახმარება შეიძლება მიეცეთ მხარეთა შეთანხმებით.

ამ მუხლის მეორე და მესამე ნაწილებში აღნიშნული პირებისათვის კომპენსაციების ოდენობას, კომპენსაციებისა და გარანტიების მიცემის წესს, აგრეთვე ტერიტორიულად სხვა ადგილას გადასვლისას სასწავლო დაწესებულების, ასპირანტურის, კლინიკური ორდინატურის დამთავრების შემდეგ განაწილების წესით ან ორგანიზებული შეგროვებისა თუ საზოგადოებრივი გაწვევის წესით სამუშაოზე გაგზავნისას გარანტიებსა და კომპენსაციებს ამ პირთათვის ადგენს სსრ კავშირის კანონმდებლობა“.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1982 წლის 28 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 321 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობისას გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის“** დაჯილდოვდნენ:

**ახალკაციშვილი** ნოდარ ვასილის ძე — ქ. თელავის № 106 პროფესიული სახანძრო ნაწილის ყარაულის უფროსი.

**გიგიშვილი** ზაალ ვლადიმერის ძე — ქ. თელავის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ინსპექციის ინსპექტორი.

**ნაცარაშვილი** გიორგი ფირუზის ძე — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს № 5 ქვეგანაყოფის მილიციელი.

**შალვაშვილი** ვლადიმერ შალვას ძე — ქ. თელავის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ინსპექციის უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 28 ოქტომბერი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 322 საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“**

**ასლამაზაშვილს** ნათელა ალექსის ასულს — სახელმწიფო სამრეწველო გაერთიანება „საქმინხილწყლების“ საწარმოო გაერთიანება „თბილლუდის“ უფროს ინჟინერ-ქიმიკოსს.

**გიორხელიძეს** თინა ილიას ასულს — ჩაის მრეწველობის სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაის“ ჩაის ფაბრიკების წულუკიძის საწარმოო გაერთიანების მთავარ მექანიკოსს.

**დვალს** ვაჟა სიმონის ძეს — ჩაის მრეწველობის სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაის“ მთავარი მექანიკოსისა და ენერგეტიკის განყოფილების უფროსს.

№ 10
ეროვნული
ბიბლიოთეკა

**კანდელაკს** რუსუდან გრიგოლის ასულს — სახელმწიფო სამრეწველო გაერთიანება „საქმინხილწყლების" მახარაძის ლუდისა და ხილის წყლების ქარხნის ლაბორატორიის გამგეს.

**კახიანს** ალდონა ვლადიმერის ასულს — სახელმწიფო სამრეწველო გაერთიანება „საქპურმრეწვის" ცენტრალური ლაბორატორიის გამგეს.

**რეოტკევიჩს** მიხეილ ლევის ძეს — სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს ტრესტ „ორგკვებმრეწვის" ამიერკავკასიის გასაშვებ-გასაწყობი სპეციალიზებული სამმართველოს მთავარ ინჟინერს.

**სულაქველიძეს** ლეილა სამსონის ასულს — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საკონდიტრო და შაქრის მრეწველობის სამმართველოს წამყვან ინჟინერს.

**ჩეხერიას** ია ბეგოს ასულს — ჩაის მრეწველობის სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაის" სასწავლო-საკურსო კომბინატის მეთოდისტს.

## „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი"

**ანასოვას** ანა ნიკოლოზის ასულს — საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ხორცის მრეწველობის თბილისის საწარმოო გაერთიანება „თბილხორცის" მუშას.

**გონგაძეს** დოდო რევაზის ასულს — საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს რძის მრეწველობის თბილისის საწარმოო გაერთიანება „თბილრძის" მუშას.

**დემეტრაძეს** თენგიზ სერგოს ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქკვებტარის" ქუთაისის მინის ტარის ქარხნის ზეინკალ-შემკეთებელს.

**კიკნაძეს** ალექსანდრე აბესალომის ძეს — სახელმწიფო სამრეწველო გაერთიანება „საქმინხილწყლების" ჩამოსასხმელი ქარხანა „საირმის" დირექტორს.

## „საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი"

**შონიას** სერაფიონ აქსენტის ძეს —ჩაის მრეწველობის ჩაის სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაის" ჩაის ფაბრიკების გალის საწარმოო გაერთიანების მთავარ აგრონომს.

## "„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი"

**იორამაშვილს** გრუნია იასონის ასულს — სახელმწიფო სამრეწველო გაერთიანება „საქპურმრეწვის" საგეგმო-ეკონომიკური განყოფილების უფროსს.

**ქუტიძეს** შოთა პლატონის ძეს — სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს თბილისის ცხიმკომბინატის დირექტორს.

**მდინარაძეს** ილია ხარიტონის ძეს — ჩაის მრეწველობის ჩაის სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაის" ფაბრიკების მახარაძის საწარმოო გაერთიანების საგეგმო განყოფილების უფროსს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი"

ქარდავას პიმენ ალექსანდრეს ძეს — ჩაის მრეწველობის ჩაის სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაის" ჩაის ფაბრიკების ცხაკაიას საწარმოო გაერთიანების მთავარ ბუღალტერს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი"

ჩხაიძეს ქეთევან დავითის ასულს — ჩაის მრეწველობის ჩაის სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაის" ჩაის ფაბრიკების მახარაძის საწარმოო გაერთიანების გურიანთის ჩაის ფაბრიკის საბავშვო ბაღის გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 26 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 323 აბაშის რაიონული გაზეთის „განახლებული აბაშის" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად რაიონის შრომითი კოლექტივების დარაზმვაში აქტიური მონაწილეობისათვის და პირველი ნომრის გამოსვლის 50 წლისთავთან დაკავშირებით აბაშის რაიონული გაზეთი „განახლებული აბაშა" დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 5 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 324 ამხ. ო. ნ. აბუთიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში, სახალხო განათლების სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სკკპ ისტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიის კათედრის გამგის მოადგილე ამხ. ოთარ ნიკოლოზის ძე **აბუთიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1982 წლის 5 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 325 ამხ. ა. ა. პაიჭაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ანზორ აქვსენტის ძე **პაიჭაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1982 წლის 5 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 326 ამხ. რ. ბ. ჯინჯოლიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში, სახალხო განათლების სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის პარტიული მშენებლობის კათედრის გამგე ამხ. რაჟდენ ბაგრატის ძე **ჯინჯოლია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1982 წლის 5 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 327 ამხ. ნ. ი. ქოჩიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებსა და სახალხო განათლების ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის თერჯოლის რაიკომის მეორე მდივანი ამხ. ნიკოლოზ ივანეს ძე **ქოჩიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 9 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 328 მ. გორკის სახელობის საბავშვო და საყმაწვილო ფილმების ცენტრალური სტუდიის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა იდეურ-მხატვრული და ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში დიდი წვლილისათვის და 1982 წლის ოქტომბერში საქართველოს სს რესპუბლიკაში კინოსტუდიის დღეების წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით **მ. გორკის სახელობის საბავშვო და საყმაწვილო ფილმების ცენტრალური სტუდია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 22 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 329 ამხ. ე. კ. კაჭკაჭიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის წევრი ამხ. ელგუჯა კონსტანტინეს ძე კაჭკაჭიშვილი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 22 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 330 ამხ. თ. მ. ჯაფარლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისა და საზოგადოებრივი და სამეცნიერო მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, პროგნოზირებისა და ფორმირების ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თეიმურაზ მამედის ძე ჯაფარლი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 22 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 331 საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:**

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ბერიძე** სვეტლანა მურადის ასული — საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ბათუმის რძის ქარხნის მუშა.

**ლასურაშვილი** გრიგოლ ალექსის ძე — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „საქკვებტარის" კადრების განყოფილების უფროსი.

**ნოზაძე** ოთარ ანტონის ძე — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „საქკვებტარის" ბორჯომის მინის ქარხნის უფროსი გამმართველი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 25 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 332 ამხ. თ. გ. არჩვაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო არტისტი თენგიზ გრიგოლის ძე **არჩვაძე** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 25 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 333 ამხ. ზ. ვ. კვერენჩხილაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ზინაიდა ვასილის ასული **კვერენჩხილაძე** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 25 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 334 ამხ. გ. კ. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. გიორგი კონსტანტინეს ძე **ლორთქიფანიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 25 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 335 ამხ. დ. ლ. მირცხულავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დიდიმ ლავრენტის ძე **მირცხულავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 25 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 336 ამხ. ო. დ. ქინქლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებში, სახალხო განათლების სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ამხ. ოთარ და-

ნიელის ძე ქინქლაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 25 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 337 ამხ. ო. პ. ორანსკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით აფხაზეთის სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ოლეგ პავლეს ძე **ორანსკი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 26 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 338 ამხ. ა. გ. ჟვანიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საქონელბრუნვის განყოფილების უფროსის მოადგილე ამხ. ალექსანდრე გრიგოლის ძე **ჟვანია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 26 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1982 წლის 28 ოქტომბერს გამართულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე ბოგდანოვკის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ი. ი. ბალიაშვილმა გააკეთა ინფორმაცია სარატოველთა თაოსნობის მხარდაჭერის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 5 აგვისტოს დადგენილების შესასრულებლად ბოგდანოვკის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ ხელმძღვანელობენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებით, პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ჩამოყალიბებული დასკვნებითა და დებულებებით და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 31 მაისის დადგენილებით, ბოგდანოვკის სახალხო დეპუტატთა რაიონულმა საბჭომ და სამეურნეო ორგანოებმა გააძლიერეს პრაქტიკული საქმიანობა XI ხუთწლედის მთავარი ამოცანის — სასურსათო პროგრამის წარმატებით რეალიზაციის უზრუნველსაყოფად.

მეთერთმეტე ხუთწლედში რაიონის ეკონომიკური კურსის ოპტიმალურად განსაზღვრაში გადამწყვეტი როლი შეასრულა რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებამ, რომლითაც მოწონებულ იქნა საქართველოს კომპარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პირველი მდივნის ამხ. ვ. ა. ქოჩოიანის წინადადებები რაიონში ძირითადი მაპროფილებელი დარგების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობის ერთიორად გაზრდის თაობაზე.

მოსავლის უდანაკარგოდ და შემჭიდროებულ ვადებში აღების, შრომითი საქმიანობის ყველა უბანზე ყაირათიანობის რეჟიმის დამკვიდრებისა და რესურსების ეფექტიანად გამოყენების, დამატებითი რეზერვების გამოვლენისათვის აქტიურ მუშაობას ეწევიან რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შექმნილი 23 დეპუტატთა ჯგუფი და 57 დეპუტატთა საგუშაგო, აგრეთვე 96 სახალხო კონტროლიორთა ჯგუფი.

გამოეხმაურნენ რა სარატოველთა პატრიოტულ თაოსნობას „მთლიანად შევინარჩუნოთ ჭირნახული!“, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, მწველავმა ა. ტარზიანმა, ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებმა ა. ვარდანიანმა, ა. პოდოსიანმა და გ. ლარინამ მოწოდებით მიმართეს რაიონის მშრომელებს — „გავუფრთხილდეთ სახალხო დოვლათის თითოეულ კილოგრამს!“.

რაისაბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისია, დეპუტატთა საგუშაგოებთან ერთად, სისტემატურად აწყობს შემოწმება-რეიდებს რაიონის მეურნეობებში საწვავ-საცხები მასალებისა და ელექტროენერგიის ეკონომიურად ხარჯვის რეჟიმის დამკვიდრებისათვის და ა. შ.

ამასთან ბოგდანოვკის სახალხო დეპუტატთა რაიონულ საბჭოს სარატოველთა თაოსნობის მხარდაჭერის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 5 აგვისტოს დადგენილების შესრულების საქმეში გააჩნია სერიოზული ნაკლოვანებანი.

საბჭო ჯერ კიდევ სრულად და ეფექტიანად არ იყენებს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის ყველა საშუალებას XI ხუთწლედის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების და სასურსათო პროგრამის წარმატებით შესასრულებლად მშრომელთა მობილიზებისათვის.

რაიონმა საზოგადოებრივ მეურნეობებში ხორცის დამზადების 9 თვის გეგმა მხოლოდ 89 პროცენტით შეასრულა, ხოლო მოსახლეობისაგან ხორცის სახელმწიფოსათვის მიყიდვისა — 32,6 პროცენტით. მოსახლეობისაგან სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის საქმეში განსაკუთრებით ჩამორჩებიან ფოგის და სათხის საბჭოთა მეურნეობები.

ტამბოვკის სასოფლო საბჭოს სოფელ კალინინის კოლმეურნეობის, ბოგდანოვკის სოფლის სამომხმარებლო საზოგადოების, № 21 მოძრავ-მექანიზებული კოლონის, ეშტიის საშუალო სკოლის დეპუტატთა საგუშაგოები და სახალხო კონტროლის ჯგუფები გვერდს უვლიან უყაირათობისა და უგერგილობის ფაქტებს, ქმედით დახმარებას არ უწევენ ადმინისტრაციას სახელმწიფო, საშემსრულებლო და შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში. მიმდინარე წელს კაცდღეების სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია 2.725 კოლმეურნეს, ანუ 23,9 პროცენტს, ხოლო საკოლმეურნეო შრომაში მონაწილეობა არ მიუღია კოლმეურნეობის წევრთა 22,7 პროცენტს.

ზოგიერთ მეურნეობაში აგროტექნიკურ ღონისძიებათა არასაკმარისად განხორციელების გამო დაბალია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, მაღალია წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება, პირუტყვის გაწყდომის მაჩვენებელი.

რაიონში კვლავ დიდია იმ ოჯახების რიცხვი, რომელთაც არ გააჩნიათ პირუტყვი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სათანადო დავალებანი მისცა ბოგდანოვკის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

* *
*

პრეზიდიუმის სხდომამ მოისმინა აგრეთვე ახმეტის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ა. გ. ბასაძიშვილის ინფორმაცია რაიონის საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და მოსახლეობის მიერ საკარმიდამო ნაკვეთების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველსაყოფად ადგილობრივი საბჭოების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღინიშნა, რომ ახმეტის სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები მთელ თავიანთ მუშაობას წარმართავენ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუ-

17253

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში მოცემული მითითებების შესაბამისად, კონკრეტულ ღონისძიებებს ატარებენ სასურსათო პროგრამის განხორციელებაში რაიონის მოსახლეობის აქტიური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

გარკვეული მუშაობაა გაწეული მოსახლეობაში პირუტყვის სულადობის გადასადიდებლად. თუ 1979 წლის პირველი იანვრისათვის მოსახლეობას ჰყავდა 7.576 სული მსხვილფეხა პირუტყვი, აქედან 5.024 ძროხა, 1982 წლის იანვრისათვის პირუტყვის სულადობა 9.127-მდე გაიზარდა, მათ შორის ძროხისა — 5.638-მდე.

რაიონში ფართოდაა გავრცელებული თაოსნობა „არც ერთი ოჯახი საკუთარი სასურსათო პროგრამის გარეშე!". სოფლების ზემო ხოდაშნის, ოქიოს, ზემო და ქვემო ალვანის, ქისტაურის მატნისა და სხვათა მოსახლეობას შემუშავებული აქვს საკუთარი სასურსათო პროგრამა და ცდილობენ ოჯახიც დააკმაყოფილონ სოფლის მეურნეობის პროდუქტებით და ნამეტიც სახელმწიფოს მიჰყიდონ. მაგალითად, თუ 1980 წლამდე მოსახლეობაში ხორცის წარმოება 1.500 ტონას არ აღემატებოდა, 1982 წლისათვის ნავარაუდევია 3.000 ტონამდე გაიზარდოს.

აღსანიშნავია, რომ გასულ წელს არასასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 80 ტონაზე მეტი ხორცი.

ახმეტის რაიონში სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების შექმნის შემდეგ თანამიმდევრულად ხორციელდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისა და საკარმიდამო მიწების რაციონალურად გამოყენების პროგრამა. დიდი მუშაობაა ჩატარებული საკარმიდამო მიწის ნაკვეთების ჩამონაჭრების და მიგდებული ადგილების გამოყენებისათვის; კოოპერირების წესით დროებითი სარგებლობისათვის მოსახლეობას მიემაგრა 250 ჰექტარი ასეთი მიწის ფართობი.

მიმდინარეობს დათვალიერება-კონკურსი დევიზით: „ოჯახის სასურსათო პროგრამა მოქმედებაში!", რომელიც ითვალისწინებს მიწათსარგებლობის კანონების ზუსტად დაცვისა და მიწათმოქმედების ეფექტიანობისა და კულტურის ამაღლების უზრუნველყოფას.

ამასთან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ახმეტის რაიონული საბჭოსა და სასოფლო საბჭოების აღმასკომები სრულად არ იყენებენ მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების, განსაკუთრებით კი მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდების, ამ მეურნეობების უკეთ მოწყობისა და მათი ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობებს. საჭირო ყურადღება არ ექცევა „მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების დამატებით ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 15 აპრილის დადგენილების მოთხოვნათა შესრულებას. გააქტიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებას საჭიროებს საბჭოების სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიების, დეპუტატების და დეპუტატთა ჯგუფების საქმიანობა. რაიონული გაზეთი და ადგილობრივი რადიომაუწყებლობის რედაქცია თანამიმდევრულად ვერ აშუქებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისა და პირად მეურნეობებში სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის მუშაობის მიმდინარეობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დადგენილებით სათანადო დავალებანი მისცა ახმეტის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებს, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს.

* * *

მოისმინა რა რესპუბლიკის პროკურორის ამხ. ა. მ. ბარაბაძის ინფორმაცია საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინიტროს ზოგიერთ საწარმოში შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ სამინისტროს მუშაობაში ამ მიმართულებით შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებანი და დაუდევრობანი. ბევრი საწარმოს ხელმძღვანელს საჭირო დასკვნები არ გამოუტანია სადირექტივო ორგანოების დადგენილებათა მოთხოვნებიდან, რომლებიც მიმართულია ამ სფეროში დარღვევების აღმოსაფხვრელად. როგორც რესპუბლიკის პროკურატურის მიერ ჩატარებულმა შემოწმებამ გვიჩვენა სამინისტროს სისტემის მთელ რიგ საწარმოებსა და გაერთიანებებში. მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოზე მიღებისა და დათხოვნის დადგენილი წესის, არასრულწლოვანთა შრომის უფლებების, სამუშაო და დასვენების დროის რეჟიმის დარღვევებმა გავრცელებული ხასიათი მიიღო.

დადგენილია სამუშაოდ მიღებისას კანონის დარღვევის მრავალი ფაქტი. მაგალითად, ხშირია სამუშაოზე უშრომისწიგნაკოდ მიღების შემთხვევები. ბევრი საწარმოს ხელმძღვანელი მუშათა სამუშაოდან დათხოვნისას უხეშად არღვევს კანონს. განსაკუთრებით ხშირია პროფკავშირის კომიტეტის თანხმობის გარეშე დათხოვნის ფაქტები, ხშირია აგრეთვე არასრულწლოვანთა შრომის უფლებების დარღვევების შემთხვევები. მათ სამუშაოდ იღებენ წინასწარი სამედიცინო შემოწმების, ხოლო ითხოვენ არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისიის თანხმობის გარეშე.

ცალკეულ საწარმოებში ფართოდ არის შემოღებული ზეგანაკვეთური და დასვენების დღეებში მუშაობა და ისიც არა გამონაკლისის წესით, როგორც ეს მითითებულია კანონში, არამედ მიმდინარე საგეგმო დავალებათა შესასრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა


ლებლად. ზეგანაკვეთური სამუშაოები ხშირად სრულდება პროფკავშირის კომიტეტის ნებართვის გარეშე, არც თუ იშვიათად ირღვევა ზეგანაკვეთური საათების ზღვრული ნორმები და ანაზღაურების წესი, არ წარმოებს საათების ზუსტი აღრიცხვა.

ზოგჯერ პროფკავშირის ორგანიზაციები სათანადო ზომებს არ იღებენ მუშა-მოსამსახურეთა შრომის უფლებების, შრომისა და საწარმოო დისციპლინის დაცვისადმი ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად.

საწარმოებში ყოველთვის არ იცავენ კანონმდებლობის მოთხოვნას მუშა-მოსამსახურეთათვის ყოველწლიური შვებულების აუცილებელი მიცემის შესახებ, მუშაკებს შვებულებიდან იძახებენ საწარმოო აუცილებლობის საბაბით, ამასთან მათ ეძლევათ ფულადი კომპენსაცია, რაც საწარმოებს აყენებს მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს.

თითქმის ყველა საწარმოში ირღვევა კანონმდებლობა შეთავსების, ხელფასის გაცემის ვადის შესახებ.

იმის გამო, რომ საწარმოთა ადმინისტრაცია, იურიდიული სამსახურები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები არასაკმარისად მუშაობენ წარმოებაში მუშათა კადრების დამკვიდრების საკითხზე, შეინიშნება კადრების დიდი დენადობა.

სამუშაო დროის მნიშვნელოვანი დანაკარგებია მოცდენების, გაცდენებისა და შრომისა და საწარმოო დისციპლინის სხვა დარღვევათა გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ზემომითითებული დარღვევები სამინისტროს მხრივ შრომის კანონმდებლობისა და საკუთარ ბრძანებათა შესრულებისადმი სუსტი კონტროლის და იმის შედეგია, რომ სამინისტრო მომთხოვნელობას არ იჩენს მუშა-მოსამსახურეთა შრომის უფლებების დამრღვევი თანამდებობის პირებისადმი, დროულად და სათანადოდ არ რეაგირებს საწარმოთა ხელმძღვანელების უკანონო მოქმედებათა შესახებ სისტემის მუშაკთა მრავალრიცხოვან საჩივრებსა და განცხადებებზე. სუსტია იურიდიული სამსახურის როლი შრომის კანონმდებლობის დარღვევათა აღკვეთაში, არ წარმოებს მუშაობა სამეურნეო ხელმძღვანელთა, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა მიერ შრომის სამართლის ნორმების შესწავლისათვის.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები, მათი აღმასრულებელი კომიტეტები და მუდმივი კომისიები მათს ტერიტორიაზე მდებარე საწარმოებში სათანადო კონტროლს არ ახორციელებენ შრომის კანონმდებლობის დაცვაზე.

სამართალდამცველი ორგანოები და პროფკავშირული ორგანიზაციები არასაკმარისად ახორციელებენ თავიანთ უფლებამოსილებას მუშა-მოსამსახურეთა შრომის უფლებების დაცვისადმი ზედამხედველობისა და კონტროლისათვის, არ იღებენ სათანადო ზომებს იმ ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებიც უშვებენ კანონმდებლობის დარღვევებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამ საკითხზე მიიღო სათანადო დადგენილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე საკითხები: წალკის რაიონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში მშრომელთა წერილების, განცხადებების, საჩივრების განხილვისა და მოქალაქეთა მიღების მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების წინადადებების შესაბამისად. საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის სახელმწიფო გეგმის, საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1982 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის, საქართველოს სსრ 1983 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მუდმივ კომისიებში წინასწარი განხილვის წესის შესახებ, „მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერებისა და მატერიალური რესურსების რაციონალურად გამოყენებისათვის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 25 სექტემბრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის მიერ რესპუბლიკაში საბაგირო ტრანსპორტის განვითარებისათვის და ბაგირგზების მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად გაწეული საქმიანობის შესახებ საკითხის განხილვის შედეგების თაობაზე და სხვ.

ყველა განხილულ საკითხზე მიღებულია შესაბამისი დადგენილებანი.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის კომისიის გასვლითი სხდომა 28 ოქტომბერს გაიმართა. შეისწავლეს რა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებისათვის მარნეულის რაიონის შაუმიანის სახალხო დეპუტატთა სადაბო საბჭოს მიერ გაწეული მუშაობის საკითხი, კომისიის წევრები ჩავიდნენ ამ დაბაში მთელი რიგი დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად, რათა ადგილზე გაეანალიზებინათ საქმის ვითარება, ობიექტურად შეეფასებინათ მიღწეული, გაერკვიათ ხარვეზების და ნაკლოვანებების მიზეზები, პრაქტიკულად დახმარებოდნენ ადგილობრივ საბჭოს სოფლის მოსახლეობის მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

დეპუტატებმა და კომისიის სხდომაზე მიწვეულმა მუშაკებმა დაათვალიერეს საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და მოსახლეობის კომუნალური მომსახურების დაბაში განლაგებული ობიექტები, გაეცნენ მათ მუშაობას. აღინიშნა რა სადაბო საბჭოს ეფექტიანი მუშაობა სოფლის მშრომელთა ყოფა-ცხოვრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის პირობების გაუმჯობესებისათვის, კომისიამ ხაზი გაუსვა, რომ იგი ჯერ კიდევ არ შეესაბამება დღევანდელ მოთხოვნებს. კერძოდ, სხდომაზე ითქვა, რომ დაბაში მოუგვარებელია ისეთი სახეობის მომსახურება, როგორიც არის თეთრეულის რეცხვა და ტანსაცმლის ქიმიური წმენდა. არ არის კომპლექსური მიმღები პუნქტი, რაც ადამიანებს ბევრ დროს აკარგვინებს რაიონულ ცენტრში მგზავრობისათვის 19-ვე საყოფაცხოვრებო ობიექტი უვარგის შენობაშია განლაგებული, მოუვლელია შედარებით ცოტა ხნის წინათ მწყობრში ჩამდგარი საყოფაცხოვრებო სახლი, სადაც მოუწესრიგებელია წყალმომარაგების საკითხი; არ არის საკმარისი რაოდენობის შესაბამისი ინვენტარი და მოწყობილობა. ვადაუდებელ კაპიტალურ რემონტს საჭიროებს ადგილობრივი სასტუმროს შენობა. წლითიწლობით ვერ ითვისებენ საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილ სახსრებს, მოუგვარებელია ნაგვის გატანის საკითხი.

შაუმიანის სადაბო საბჭოს აღმასკომს კომისიამ რეკომენდაცია მისცა უფრო სრულად გამოიყენოს შესაბამისი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაციისა და კონტროლის მინიჭებული უფლებამოსილებანი ,აქტიურად ჩააბას დასახულ ღონისძიებათა რეალიზაციაში დეპუტატები, მუდმივი კომისიები. მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ აღმასკომი მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდოს მშრომელთა კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებს, რომლებიც დაკავშირებულია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების საწარმოთა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებთან.

კომისიის სხდომაზე გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

## საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 28 ოქტომბრის ბრძანებულებით „შრომის ვეტერანის“ მედლით დაჯილდოვდა 1086 კაცი:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისის კალინინის | რაიონდან | — 78 |
| ქ. თბილისის ორჯონიკიძის | „ | — 90 |
| ქ. ქუთაისის ლენინის | „ | — 43 |
| ქ. რუსთავიდან | „ | — 99 |
| ქ. ფოთიდან | „ | — 25 |
| ამბროლაურის | „ | — 47 |
| ახალქალაქის | „ | — 19 |
| ბოგდანოვკის | „ | — 48 |
| ბორჯომის | „ | — 35 |
| დმანისის | „ | — 24 |
| ვანის | „ | — 40 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| კასპის | რაიონიდან | — 45 |
| ლაგოდეხის | „ | — 28 |
| ლენტეხის | „ | — 7 |
| მარნეულის | „ | — 39 |
| მესტიის | „ | — 6 |
| ონის | „ | — 6 |
| საჩხერის | „ | — 44 |
| სიღნაღის | „ | — 151 |
| ქარელის | „ | — 53 |
| წალენჯიხის | „ | — 23 |
| წალკის | „ | — 18 |
| წითელწყაროს | „ | — 52 |
| წულუკიძის | „ | — 66 |

*

* *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 28 ოქტომბრის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „გმირი დედის“ მედლებით დაჯილდოებულია 119 დედა:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისის ოქტომბრის | რაიონიდან | — 1 |
| ქ. ფოთიდან | „ | — 1 |
| ქ. გორიდან | „ | — 4 |
| ქ. ჭიათურიდან | „ | — 2 |
| ადიგენის | რაიონიდან | — 1 |
| ახალქალაქის | „ | — 4 |
| ბოლნისის | „ | — 12 |
| გარდაბნის | „ | — 10 |
| გურჯაანის | „ | — 4 |
| დმანისის | „ | — 11 |
| ვანის | „ | — 2 |
| ზესტაფონის | „ | — 1 |
| თიანეთის | „ | — 1 |
| ლაგოდეხის | „ | — 2 |
| საგარეჯოს | „ | — 13 |
| ქარელის | „ | — 3 |
| ცხაკაიას | „ | — 8 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩოხატაურის | რაიონიდან | — | 1 |
| წალენჯიხის | „ | — | 4 |
| წალკის | „ | — | 21 |
| ხაშურის | „ | — | 2 |
| ხობის | „ | — | 11 |